პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 133 (1303) ○ ხუთშაბათი, 6 ნოემბერი, 1958 წ. ○ გამოცემის მე-15 წელი. ○ ფასი 30 კაპ.



თბილისში ახლახან დამთავრებულ საბჭოთა კავშირის გუნდურ პირველობაზე მძლეოსნობაში, 100 მეტრზე ფინალურ გარბენში ლენინგრადელმა ე. ოზოლინმა გაიმეორა საკავშირო რეკორდი ამ დისტანციაზე — 10,8 წამი.

ს უ რ ა თ ზ ე: მარჯვნიდან მეორე ე. ოზოლინი.

ფოტო ვ. კოშევოისა.

საკავშირო კომიტეტში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა მოსწავლეთა V სპარტაკიადის კარგი მომსახურებისათვის საკავშირო კომიტეტის სიგელებით დააჯილდოვა ამხანაგები: ი. ი. ბოჭორიძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, შ. ნ. ახვლედიანი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის სასწავლო-სპორტული განყოფილების უფროსის მოადგილე, ა. ს. კორინთელი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კადრების განყოფილების უფროსი, მ. ს. ბარხუდაროვი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის სამეურნეო-ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ე. ბ. ლოლუა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსი, ვ. გ. კინკაძე—თბილისის ფიზკულტურის კომიტეტის ახალგაზრდობის სპორტული სკოლის დირექტორი, დ. მურადოვი — ამიერკავკასიის რკინიგზის ვაგზლების განყოფილების უფროსი, ო. ს. თავყელიშვილი — სტუდენტთა ქალაქის სამმართველოს უფროსი, შ. მ. ფაჩუაშვილი — ვაჭრობის სამმართველოს საზოგადოებრივი კვების განყოფილების უფროსი, ნ. დ. პაშიკოვი— სპორტულ ნაგებობათა სამმართველოს უფროსი, ა. ი. ჭიპაშვილი — ამიერკავკასიის რკინიგზის სამგზავრო განყოფილების უფროსი, ნ. ე. ჯლამაძე — ამიერკავკასიის რკინიგზის ქ. თბილისის სადგურის უფროსი, შ. მ. ნებიერიძე — ამიერკავკასიის რკინიგზის ქ. თბილისის ვაგზლის უფროსი, ს. ს. მურადიანი—სპორტული ფაბრიკის საამქროს გამგე, ვ. ი. იოსელიანი — სპორტული სკოლის მწვრთნელი, ქ. პ. შილაკაძე, შ. დ. ფერაძე, ს. გ. ამბარცუმიანი, ბ. დ. ფერაძე, ა. ს. ოგანეზოვი, ქ. გ. აირაპეტოვი, გ. გ. მამაჯანოვი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თანამშრომლები.

ისარი ხვდება მიზანს

ამ დღეებში მოსკოვის „ავანგარდის" სტადიონზე, სადაც ჩატარდა მესამე სპორტული მეგობრული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული პირველობა მშვილდოსნობაში, გაიმართა შეჯიბრება ამ სახეობაში დედაქალაქის სპორტსმენთა შორის. თვითეულ მათგანს უნდა შეესრულებინა 90 გასროლა 40, 30 და 20 მეტრის მანძილიდან.

სტადიონის ჩემპიონობა ვაჟთა შორის მოიპოვა მ. შპაგინმა, ხოლო ქალთა შორის უძლიერესი იყო ნ. ბულკინა. ამით გადაიდგა პირველი სერიოზული ნაბიჯი კიდევ ერთი სახეობის განვითარებისათვის ჩვენს ქვეყანაში.

მშვიდობის საქმის ბოლომდე ერთგული

საბჭოთა სპორტის გიგანტური წინსვლა არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს. იგი თამამად გავიდა საერთაშორისო სარბიელზე, გავიდა და გაიტანა საბჭოთა ხალხის ტრადიციებზე დამყნობილი, მასობრივ საწყისებზე აღმოცენებული საკუთარი სისტემა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც წარმატებით იქნა განხორციელებული კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ამოცანა: დავიპყრათ მსოფლიო მწვერვალები სპორტის წამყვან სახეობებში.

შორს ნუ წავალთ. გადავხედოთ მიმდინარე წლის საერთაშორისო შეჯიბრებებში საბჭოთა გუნდების გამოსვლის შედეგებს. ტყვიითა და სასტენდო სროლაში, ჭადრაკში, თანამედროვე ხუთჭიდში, ძალოსნობაში, ფრენბურთში ჩვენმა გუნდებმა მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონობა მოიპოვეს. გაუმჯობესებულ იქნა ბევრი, მეტად ბევრი რეკორდი.

საბჭოთა სპორტის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი საერთაშორისო ურთიერთობათა არნახულმა გაფართოებამ. ჩვენი წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო ფედერაციების მიერ წამოჭრილი ყველა საკითხის გადაჭრაში, გასულ წელს საბჭოთა კავშირში 500-მდე საერთაშორისო მატჩი ჩატარდა სპორტის სხვადასხვა სახეობაში, წელს და გაისად უფრო მეტი საზღვარგარეთული გუნდების მოწვევაა განზრახული.

სპორტულ სამყაროში მეგობრულ ურთიერთობათა გამარჯვებამ დიდად შეუწყო ხელი საერთოდ სპორტის განვითარებას. დელეგაციათა ურთიერთგაცვლას მოჰყვა გამოცდილებათა გაზიარება, სპორტსმენებმა გაიცვნეს ერთმანეთი, დამეგობრდნენ, დაძმობილდნენ კანის ფერის, პოლიტიკური და რელიგიური შეხედულების მიუხედავად. მშვიდობისათვის ბრძოლის ნიშნით ჩატარდა ყველა მსოფლიო მნიშვნელობის ღონისძიება: მელბურნის ოლიმპიური თამაშები, III სპორტული თამაშები და სხვ.

ამას წინათ საბჭოთა კავშირში იმოგზაურა ცნობილმა სტაიერმა ემილ ზატოპეკმა. იგი იყო თბილისშიც. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში მან განაცხადა: „საბჭოთა სპორტი მუდამ იქით მიისწრაფის, რომ დამყარდეს კეთილგანწყობილება სხვადასხვა ქვეყნის კოლექტივებთან. ეს კეთილშობილური მისწრაფება თვით საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკიდან გამომდინარეობს. მე უკვე ორი თვეა, რაც საბჭოთა კავშირში ვმოგზაურობ და თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. მე, და საერთოდ ყველა სპორტსმენს, რომელიც საბჭოთა კავშირში მოგზაურობს, ასეთი მოპყრობა სტიმულს გვაძლევს, რათა ყოველგვარი სპორტული „საიდუმლოება" თამამად გავანდოთ მასპინძლებს და ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გავეცნოთ საბჭოთა სპორტული მოძრაობის მდიდარ გამოცდილებას".

ზატოპეკის მაგვარი მეგობრები საბჭოთა კავშირს უთვალავი ჰყავს. ჩვენს მხარესაა მთელი პროგრესული კაცობრიობა, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობის გამარჯვების საქმე.

მაგრამ არიან ადამიანები, რომლებსაც თვალში ეჩხირებათ საბჭოთა და სოციალისტური ქვეყნების სპორტის წინსვლა. ისინი ათასგვარი ხრიკებით ცდილობენ სახელი გაუტეხონ, ცილი დასწამონ საბჭოთა სპორტს. გავიხსენოთ რა მოხდა ამას წინათ ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის სხდომაზე. ან სულ ახლა, როცა ჰოლანდიის გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, თითქოს იქ ერთდროული სეანსების ჩასატარებლად მიწვეულმა მსოფლიოს ჩემპიონმა მ. ბოტვინიკმა „ზღაპრული" ჰონორარი მოითხოვა. საიდან აიღო გაზეთმა ასეთი ცნობა? რასაკვირველია, ეს ბურჟუაზიული პრესის ცნობილი ფანდია. ამ „ზღაპრულ" ჰონორარზე შექმნილი ზღაპრის ნამდვილი მიზეზი ასეთია—სახელი გაუტეხონ საბჭოთა სპორტსმენებს.

სულ ახლახან ლონდონში ჩატარდა საერთაშორისო მატჩი ინგლისისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის ფეხბურთში. როგორ მოუთმენლად მოელოდნენ მას ტრანსლაციას ფეხბურთის მოყვარულები, მაგრამ იგი იგვიანებდა და მხოლოდ მეორე ტაიმის გადმოცემა მოხერხდა. საქმე იმაში იყო, რომ ინგლისის ხელისუფალთა გაუგონარი თვითნებობის შედეგად საბჭოთა რადიოკომენტატორს არ დაუთმეს მიკროფონი. როგორი შავი ლაქებივით მოჩანს ასეთი ფაქტები სპორტსმენთა მჭიდრო მეგობრობის ფონზე.

ჟენევის საციგურაოს გახსნასთან დაკავშირებით განზრახული იყო საერთაშორისო ტურნირის ჩატარება. მოწვეულ იქნა რამდენიმე გუნდი, მათ შორის საბჭოთა კავშირისაც. მაგრამ შვეიცარიის ჰოკეისტთა ლიგამ სრულიად დაუსაბუთებლად უარი განაცხადა საბჭოთა ჰოკეისტთა მიღებაზე და მიზეზად პოლიტიკური მოტივები მოიყვანა. ეს მაშინ, როცა ამ ლიგის წესდებაში წერია, რომ „ლიგა ზუსტად დაიცავს პოლიტიკურ და რელიგიურ ნეიტრალიტეტს".

საერთაშორისო რეაქციას არ ძინავს. იგი ყოველ მომენტს იყენებს იმისათვის, რათა გაამწვავოს სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების ურთიერთობა. მისი დამქაშები სპორტსმენთა შორისაც მრავლად გამოჩნდნენ, რომლებიც „კომუნისტური შეღწევის" შიშით ცდილობენ შეაფერხონ საერთაშორისო სპორტის წმიდათაწმიდა მიზანი — კანის ფერის, პოლიტიკური მიმართულებისა და რელიგიის სხვადასხვაობის მიუხედავად ამრავლონ მიღწევები სპორტულ ბრძოლებში.

მაგრამ ასეთი გამოხდომებით საერთაშორისო სარბიელზე საბჭოთა სპორტის წინსვლა ოდნავადაც არ შეფერხდება. თითო-ოროლა თვითნება ადამიანის მიერ დაგებულ ანკესზე არ წამოეგება მსოფლიოს მშრომელთა მრავალრიცხოვანი არმია. მათ სურთ იხილონ შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენები. ჟენევის გაზეთი „ჟურნალ დე ჟენევ" წერს: „რატომ მოგვისპო შვეიცარიის ჰოკეისტთა ლიგამ მსოფლიოში ცნობილი გუნდის — საბჭოთა ჰოკეისტების კოლექტივის საციგურაოზე ნახვის საშუალება. რას მოგვცემს ლიგის ასეთი სულელური ვეტო?".

საბჭოთა სპორტის საერთაშორისო მიზანი იყო, არის და კვლავაც დარჩება ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცება, იგი ამ კეთილშობილური მიზნის ერთგულია ბოლომდე.

ა. გორდელი

იუბილეს აღსანიშნავად

თბილისის 1500 წლისთავს მიეძღვნა საქალაქო შეჯიბრება ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა ორგანიზაციათა კოლექტივები.

ფინალში გავიდნენ 26 კომ. სახ. რაიონის გუნდი და ფიზკულტურის ინსტიტუტის II კოლექტივი. მათი შეხვედრა დამთავრდა 26 კომ სახ. რაიონის ფეხბურთელთა გამარჯვებით, რომლებმაც მოიპოვეს თბილისის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილი საპატიო პრიზი.

ზესტაფონი

ზესტაფონში გაიმართა რაიონის კომკავშირულ-ფიზკულტურული აქტივის კრება, რომელმაც განიხილა მშთ ნორმატივების ახალი კომპლექსის პროექტი.

მოხსენებით გამოვიდა ს. საყვარელიძე, მან დამსწრეთ გააცნო პროექტის წინადადებათა ის დადებითი მხარეები, რაც უპირატესობას ანიჭებს ახალ კომპლექსს არსებულთან შედარებით, შეეხო ზოგიერთ სადაო საკითხებს და რწმენა გამოთქვა, რომ კამათში გამოსული ამხანაგები თავიანთი საქმიანი შენიშვნებით ხელს შეუწყობენ ახალი კომპლექსის სრულყოფას.

სიტყვით გამოვიდა ფიზკულტურის 21 მუშაკი, კრებამ საჭიროდ ცნო ზესტაფონელ ფიზკულტურელთა სახელით კომპლექსის დამმუშავებელ კომისიას შესთავაზოს შემდეგი შესწორებანი.

აქტივს მიზანშეწონილად მიაჩნია ვაჟებისა და ჭაბუკებისათვის 3.000 მეტრზე კროსში 1 ქულა მიეცეს არა 2 წამის, როგორც ეკ. პროექტშია, არამედ ყოველი გაუმჯობესებული წამისათვის.

აქტივი საჭიროდ თვლის ამავე ცხრილში ლაშქრობა 5 კმ-ზე ერთი ქულით შეფასდეს არა 6 წამი, არამედ 4 წამი, რაც უფრო მეტ დაინტერესებას გამოიწვევს ჩამბარებელთა შორის. 10 კმ-ზე სწრაფლაშქრობის მონაწილეებს საკმაოდ გაუძნელდებათ საჭირო ქულების დაგროვება თუ ყოველი 18 წამი შეფასდება ერთი ქულით, მიზანშეწონილია ერთი ქულით შეფასდეს არა 18 წამი, როგორც ეს პროექტშია, არამედ 15 წამი, რის შემდეგ ასი ქულა მიეცეს ჩამბარებელს 10 კილომეტრის 53 წუთში გავლისათვის.

აქტივს ასევე მიზანშეწონილად მიაჩნია ზოგიერთი შესწორება იქნას შეტანილი ქულათა ნორმატივების შეფასების ცხრილში, კერძოდ, 700-გრამიანი ყუმბარის ტყორცნაში, სადაც საწყისი ნორმატივია 15 მეტრი, ხოლო ყოველი 20 სანტიმეტრისათვის ეძლევა 1 ქულა. უმჯობესი იყო იგივე შეფასება მიეღო სპორტსმენს ყოველი 18 სანტიმეტრისათვის.

აგაპა

„კოლმეურნის“ რაისაბჭომ ჩაატარა სარაიონო შეჯიბრება კალათბურთში, ფეხბურთში, ფრენბურთსა და სიმძიმეების აწევაში. შეჯიბრებებში მონაწილეობდა 15 საკოლმეურნეო კოლეტივის 200-ზე მეტი სპორტსმენი.

რაიონულ სტადიონზე ამ დღეებში დამთავრდება პავილიონის მშენებლობა, სადაც მოეწყობა გასახდელი ოთახი, მოსაცდელი დარბაზი და სხვ. სტადიონზე მოეწყობა აგრეთვე დასაჯდომები მაყურებელთათვის.

სტადიონის კეთილმოწყობაზე წელს დაიხარჯება 50 ათას მანეთზე მეტი.

ი. თოფურია

საინჟინრო მეცნიერული ნაშრომი

★ ★

ი. ჯგუსელი

პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

★ ★

პედაგოგიური კულტურის ისტორიის მნიშვნელოვან დარგს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორია წარმოადგენს, ამიტომ ამ ისტორიის შესწავლა პედაგოგიური კულტურის ისტორიის მკვლევართა ერთ-ერთ პირველხარისხოვან მეცნიერულ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს. მიუხედავად ამისა, ამ ისტორიის ამსახველი ორიოდე შრომა თუ არსებობს, რომლებიც მხოლოდ ზოგიერთ შომენტებს ეხებიან. ეს მით უფრო საეალალოა, რომ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორიის მხრივ საქართველო უძველესი ტრადიციების მატარებელია და ამ ტრადიციების შესწავლა-განზოგადება ბევრ სარგებლობას მოიტანს, როგორც მდიდარი წარსულის შესწავლისა და დღის სინათლეზე გამოტანის, ისე სადღეისო ფიზიკური აღზრდის სისტემის კიდევ უფრო დახვეწის მხრივაც.

ქართულ სამეცნიერო პედაგოგიურ ლიტერატურაში არსებული ამ ხარვეზის რამდენადმე შევსებას ემსახურება როინ ტაგანაშვილის საინტერესო ნაშრომი „ფიზიკური აღზრდის საკითხები ლუარსაბ ბოცვაძის პედაგოგიურ მოძღვრებაში“, რომელიც გამოსცა აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობამ (ა. მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. X-XI, 1958 წ.).

ავტორი სავსებით სწორ დასკვნას აკეთებს ამ ნაშრომში, რომ „ლ. ბოცვაძე პირველი ქართველი პედაგოგია, რომელმაც ასე დეტალურად და მეცნიერულად სრულყოფილი სახით წარმოგვიდგინა... მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის სისტემის თითქმის ყოველი საკითხი“. შრომაში სწორად არის დასაბუთებული ბოცვაძის მიერ ფიზიკური აღზრდის აუცილებლობის აღიარება. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ახალგაზრდა თაობის ფიზიკური აღზრდის საკითხების გარკვევისას ბოცვაძე გამოდის ადამიანის სხეულის მთლიანობის იდეიდან. მან ახალგაზრდა თაობის ფიზიკურ აღზრდას „სულისა“ და „სხეულის“, ფიზიკურისა და „ფსიქიურის“ ერთიანობა დაუდო საფუძვლად, რამაც განაპირობა მის პედაგოგიკურ მოძღვრებაში ფიზიკური აღზრდის საკითხების მაღალ შეცნიერულ დონეზე ჩამოყალიბება.

ამის დასასაბუთებლად ავტორს სწორად მოყავს ბოცვაძის სიტყვები: „მაშასადამე როგორც სულის, ისე სხეულის სიმთელეც აუცილებელი პირობაა წესიერი და კარგი აღზრდისათვის“...

შრომაში სწორადაა განმარტებული ფიზიკური აღზრდის მიზანი ბოცვაძის მოძღვრებაში.

ფიზიკური აღზრდის მიზნისა და ამოცანების ბოცვაძისეული გაგება როდი შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკურად ჯანსაღი ორგანიზმის აღზრდით, არამედ ნაჩვენებია, რომ ფიზიკური აღზრდა აუცილებელი პირობაა ადამიანის გონებრივი, ზნეობრივი თუ ესთეტიკური სრულყოფისათვის. ამ საფუძველზე ტაგანაშვილი სამართლიანად დასკვნის, რომ „ლ. ბოცვაძეს ფიზიკური აღზრდა მიაჩნია არა მარტო ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის განმტკიცებისა და განვითარების საშუალებად....“, არამედ ამავე დროს „...ფიზიკური აღზრდა სრულყოფს ადამიანის ზნეობას და მის საფუძველს შეადგენს; იგი საუკეთესო საშუალებაა ესთეტიკური აღზრდისა, რამდენადაც სილამაზის განცდები, ლ. ბოცვაძის აზრით, უმეტესად მოძრავ თამაშებში და წესიერ მოძრაობებში მეძღვნდება; ფიზიკური აღზრდა გამოყენებითს მნიშვნელობას ჰპოვებს ასევე ადამიანის შრომითს პროცესში“.

შრომაში კარგადაა აგრეთვე ჩამოყალიბებული ბოცვაძის შეხედულებანი ფიზიკური აღზრდის შინაარსისა და საშუალებების შესახებ. ფიზიკური აღზრდის საუკეთესო საშუალებებად, როგორც ამას ავტორი ასაბუთებს, ბოცვაძეს მიაჩნდა: მოძრავი თამაშობანი (აქ ბოცვაძე უპირატესობას ეროვნულ თამაშობებს ანიჭებს): ტანვარჯიში, ტურიზმი, ჰიგიენური პირობები, ბუნების ძალები და სხვა. აღნიშნული საშუალებანი დაწვრილებითაა გარჩეული შრომაში.

ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი მეცნიერული სიზუსტით აყალიბებს ბოცვაძის შეხედულებებს სკოლის, მასწავლებლისა და ოჯახის როლის შესახებ მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის საქმეში. შრომაში ნაჩვენებია აგრეთვე ისიც, რომ ბოცვაძეს ფიზიკური აღზრდა სკოლის სავალდებულო სასწავლო საგნად მიაჩნდა და იძლევა კიდევაც როგორც საათების განაწილებას კლასების მიხედვით, ისე სასკოლო ფიზიკური აღზრდის შინაარსსაც.

ფიზიკური აღზრდის შესახებ ბოცვაძის ასეთი მწყობრი შეხედულებანი საფუძველს აძლევს შრომის ავტორს დასკვნას, რომ „ამრიგად, ლ. ბოცვაძეს თავის პედაგოგიკურ მოძღვრებაში მოცემული აქვს ახალგაზრდა თაობის ფიზიკური აღზრდის სისტემა, სადაც მეცნიერული თვალსაზრისით გაშუქებულია სისტემის ყველა კომპონენტი, კერძოდ, ფიზიკური აღზრდის მიზნები და ამოცანები, მისი როლი და მნიშვნელობა, ფიზიკური აღზრდის კავშირი გონებრივ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და შრომითს აღზრდასთან, ფიზიკური აღზრდის საშუალებები, ორგანიზაციის ფორმები [illegible] მეთოდები“.

ავტორს, სამაგიეროდ, ამა თუ ამ [illegible] ბია კიდევაც ბოცვაძის მიერ შედგენილი ორიგინალური ქართული თამაშობანი და მოუცია მათი ანალიზი. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ეს თამაშობა ცდის სახით ჩაუტარებიათ სოხუმის სკოლებში და მათ კარგი შედეგი გამოუღია, რის გამოც გათვალისწინებულია მათი კულტივირება.

რ. ტაგანაშვილის ნაშრომი უნაკლო როდია. ჯერ ერთი, ავტორი აღნიშნული საკითხის ჩამოყალიბებისას უნდა იძლეოდეს ბოცვაძის მსოფლმხედველობის და ზოგადპედაგოგიკური იდეების თუნდაც მოკლე მიმოხილვას (რასაც იგი არ აკეთებს), რადგან ეს ზოგადპედაგოგიკური იდეები უდევს სწორედ საფუძვლად ფიზიკური აღზრდის შესახებ ბოცვაძის შეხედულებებს, აქედან, არც თუ საცსებით სწორია ავტორის თქმა, რომ მის მიერ გარკვეული ნაბიჯი იქნა გადადგმული ბოცვაძის ზოგადპედაგოგიკური იდეების კიდევ უფრო ღრმად შესწავლის საქმეში. შემდეგ, ავტორი არ შლის საკითხს კონკრეტული ისტორიული ვითარების ფონზე და არ აჩვენებს ბოცვაძის მიერ ფიზიკური აღზრდის თავისებური სისტემის შექმნის ისტორიულ საფუძველს. ავტორი არ არკვევს იმ როლს, რომელიც ბოცვაძის ამ შეხედულებათა ჩამოყალიბებაში შეასრულა პროგრესული დემოკრატიული პედაგოგების და კერძოდ, ფიზიკური აღზრდის შესახებ ი. გოგებაშვილის შეხედულებებმა.

აღნიშნული ნაკლოვანებანი ოდნავადაც ვერ ამცირებენ შრომის იმ მეცნიერულ ღირებულებას, რომლითაც მას, როგორც შემეცნებითი, ისე დიდი კულტურულ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

რიგა — თბილისი

ცხენოსნობა

ამ დღეებში დელისის იპოდრომზე გაიმართა საინტერესო ამხანაგური შეჯიბრება ცხენოსნობაში რიგისა და თბილისის გუნდებს შორის.

დაბრკოლებათა გადალახვაში „გახსნის პრიზზე“ საუკეთესო შედეგი აჩვენა თბილისელმა პირველთანრიგოსანმა ს. პეშჩეროვმა, ხოლო მომდევნო ადგილებზე იყვნენ თბილისელი სპორტსმენები ვ. ოძელაშვილი და ა. მანჯავიძე.

საინტერესო გამოდგა შეჯიბრება დაბრკოლებათა შერჩევით გადალახვაში, სადაც სპორტსმენებს ზოლზე განლაგებული დაბრკოლებებიდან სურვილისამებრ უნდა ამოერჩიათ 6 დაბრკოლება. აქ უძლიერესი იყო კ. გაშიბაიაზოვი (თბილისი).

რიგელთაგან წარმატება ხვდა წილად ახალგაზრდა ცხენოსან გოგონას ი. კრეიტეს, რომელმაც მოიგო პირველი ადგილი ცხენის გაწვრთნაში „მცირე პრიზზე“.

შეჯიბრების დასასრულს სტუმარი და მასპინძელი ცხენოსნები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ დაბრკოლებათა გადალახვაში „რთულ კლასზე“. გამარჯვება აქაც ს. პეშჩეროვს ხვდა წილად, ხოლო რიგელი სპორტსმენები ი. კილეევეცი და ვ. სერგეევი გამოვიდნენ მომდევნო ადგილებზე.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

თ. გაჩეჩილაძე



• • •

სურათზე: თბილისელი ს. პეშჩეროვი დაბრკოლებათა გადალახვის დროს.

კალათბურთი

რიგის კალათბურთელებმა მეორე შეხვედრა ჩაატარეს თბილისის „დინამოსთან“, რომლის შემადგენლობას აკლდნენ გ. შინაშვილი და ვ. გვანცელაძე. თამაშის პირველი ნახევრის დამთავრებამდე 12 წუთის შემდეგ სტუმრები საგრძნობლად გავიდნენ წინ—28:19. დარჩენილ დროში დინამოელებმა რამდენადმე შეამცირეს განსხვავება — 41:43.

მეორე ნახევარი ისევ სტუმრებს წარმატებით დაიწყო, მაგრამ მალე ანგარიში თანაბარი გახდა —49:49. შემდგომი 13 წუთის განმავლობაში ასეთი თანაფარდობა გამეორდა ხუთჯერ. მხოლოდ უკანასკნელ წუთებზე შეძლეს მასპინძლებმა რიგელების შეუპოვარი წინააღმდეგობის გატეხვა და გაიმარჯვეს. ანგარიშით 81:77.

ფრენბურთი

მეგობრობის დეკადის დღეებში რიგისა და თბილისის ფრენბურთელ ქალთა მეორე შეხვედრას დიდძალი მაყურებელი მიიზიდა.

ამ დღეს სტუმრების წინააღმდეგ გამოდიოდა თბილისის ნაკრები გუნდი, რომელმაც კარგად დაიწყო პირველი პარტია და სულ ახლოს მივიდა ჯამარჯვებასთან (14:12), მაგრამ გადამწყვეტ მომენტში დათმო ეი — 14:16. მეორე პარტიის წაგების შემდეგ (3:15) თბილისელებმა ჯვლავ გააქტიურეს თამაში და ისევ ახლოს მივიდნენ გამარჯვებასთან (14:10), მაგრამ პირველი პარტიის სურათი განმეორდა. რიგელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 17:15 და თამაში მოიგეს — 3:0.

ლ. თუფიშვილი

სამ ჯგუფად

იყვნენ ავტოქარხნის სპორტსმენები.

მეორე ჯგუფში ძლიერად ჩაატარა შეხვედრები სატყეო ტექნიკუმის გუნდმა, ქალთა გუნდებიდან უძლიერესის სახელი მოიპოვა საფერშლო სასწავლებლის გუნდმა.

მესამე ჯგუფის გუნდებს შორის პირველ ადგილზე წაუგებლად გამოვიდა „ქუთვაჭრობის“ კოლექტივი. აღსანიშნავია, რომ მესამე ჯგუფში მყოფი 27 გუნდიდან ქალთა გუნდი წარმოადგინა მხოლოდ ორმა კოლექტივმა, რაც მეტყველებს იმაზე, რომ სპორტის ამ სახეობას ყველგან არ აქცევენ სათანადო ყურადღებას.

ვ. აფრიდონიძე



საქალაქო პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში

სურათზე: ვარჯიში რგოლით.

მსოფლიო პირველობა ჰოკეიში მომავალ წელს ჩეხოსლოვაკიაში ჩატარდება. ამ ... ვის განსაკუთრებული მზადება მიმდინარეობს.

სურათზე: ჩეხი მწვრთნელი ო. განალი უჩვენებს ქ. გოტვალდის მეკარე ფ. ვიორალს დაცვის ერთ-ერთ ვარიანტს.

ფოტო ზ. ხაველკისა. (ჩეხოსლოვაკიის ტელეგრაფის სააგენტო).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის საქალაქო სექციის ინიციატივით წელს პირველად მოეწყო დედაქალაქის პირველობის მეოთხედფინალური ტურნირები, რაც გამოწვეულია ქალაქში პირველთანრიგოსნების რიცხობრივი ზრდით.

სამ მეოთხედფინალურ ტურნირში, რომლებიც ერთდროულად მიმდინარეობდა ცენტრალურ საქალაქო კლუბში, მონაწილეობდა 33 მოჭადრაკე.

პირველ ტურნირში შესანიშნავად ითამაშა რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სტუდენტმა ა. კოტლიარევსკიმ, რომელმაც 10 შესაძლებლიდან მოაგროვა 9 ქულა და გაიმარჯვა კიდეც. მეორე ადგილზე გამოვიდა ნ. ტურიაშვილი—7,5 ქულა. მეორე ტურნირში თავი ისახელეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა ე. სიმონიანმა და გ. სტეპანოვმა, რომლებმაც 7 ქულით თვითეულმა გაიყვეს I-II ადგილები. მესამე ტურნირში 7,5 ქულით პირველები იყვნენ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ა. ხელაშვილი და გ. სვანიძე. დასახელებული მოჭადრაკეები მონაწილეობას მიიღებენ თბილისის 1959 წლის პირველობის ნახევარფინალებში.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მოჭადრაკე არასერიოზულად მოეკიდა შეჯიბრებაში მონაწილეობას. მაგალითად, სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი მ. ვირსალაძე და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი გ. გოგიაშვილი წარუმატებელი თამაშის გამო უმიზეზოდ აცდენდნენ ტურებს, რითაც დეზორგანიზაცია შეჰქონდათ შეჯიბრების ნორმალურ მსვლელობაში. მსაჯთა კოლეგიამ ისინი მოხსნა შეჯიბრებიდან და დააყენა საკითხი მათი დისკვალიფიკაციის შესახებ.

ს. გუგუნავა,
პ. ხიზანიშვილი.

თბილისში ორ დღეს მიმდინარეობდა პირად-გუნდური საქალაქო პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ დედაქალაქის მრავალი კოლექტივიდან გუნდურ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ფიზკულტურის ინსტიტუტისა და პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ორ-ორმა კოლექტივმა, ხოლო მათს გარდა პირად ჩათვლაში მონაწილეობდნენ აგრეთვე სახელმწიფო უნივერსიტეტის, სარკინიგზო ტრანსპორტის ინჟინერთა, პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და უცხო ენათა ინსტიტუტის სპორტსმენები.

ისევე, როგორც გასულ წელს, ქალაქის ჩემპიონობა მოიპოვა ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველმა გუნდმა.

პირად პირველობაში ოსტატთა პროგრამით გამარჯვებული გამოვიდა სპორტის ოსტატი ე. ადაშკოვა, რომელმაც მოუგო მეორე ადგილზე გამოსულ სპორტის ოსტატ რ. პენკოვას. მესამე ადგილზეა ახალგაზრდა ტანმოვარჯიშე ნ. ხერხეულიძე.

პირველ თანრიგში სამივე საპრიზო ადგილი მოიპოვეს ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა გ. ზალკინდმა, ლ. დიდენკომ და ვ. ციპლისმა. მეორე თანრიგში პირველ ადგილზე გამოვიდა ლ. პეტერჟაკი.

შეჯიბრებაზე მოხდა ასეთი არასასიამოვნო ფაქტი: პირველი დღის შეჯიბრების შემდეგ ვარჯიშების შესასრულებლად არ გამოცხადნენ უცხო ენათა და პოლიტექნიკური ინსტიტუტების სპორტსმენები.

მხატვრულ ტანვარჯიშში არსებულ არასახარბიელო მდგომარეობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ საქალაქო პირველობაზე გუნდები არ წარმოადგინეს „განთიადმა“, განათლების განყოფილებამ, „სპარტაკმა“, „დინამომ“, „შრ. რეზერვებმა“ და სხვ.

ნ. სალუქვაძე

ღონისძიებები მიეძღვნა კომკავშირის მე-40-ე წლისთავს

ჭექნიკუმელთა გამარჯვება

კომკავშირის მე-40 წლისთავს მიუძღვნეს მცხეთის რაიონის მოჭიდავეებმა რაიონული პირველობა ქართულ ჭიდაობაში. მასში მონაწილეობა მიიღეს წინამძღვრიანთ კარის ტექნიკუმის, ძალისის, ნიჩბისის, წილკნის, ქსოვრისის, გალავნის სოფსაბჭოს ნაკრებმა გუნდებმა.

წონის კატეგორიებში გამარჯვებულები გამოვიდნენ: შ. არბოლიშვილი, ო. კირვალიძე, შ. რომელაშვილი, ა. ქიბროწაშვილი და მ. ყაჩმაზაშვილი.

გუნდური პირველი ადგილი წილად ხვდათ წინამძღვრიანთ კარის ტექნიკუმის სპორტსმენებს, რომლებსაც გადაეცათ გარდამავალი თასი და პირველი ხარისხის დიპლომი. აღსანიშნავია, რომ ამ გუნდმა საქართველოს გუნდურ პირველობაზეც წარმატება მოიპოვა — მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

ი. ტერუნაშვილი

„ბ“ კლასში

გუშინ თბილისსა და რუსთავში დაიწყო „ბ“ კლასის ფეხბურთელთა გუნდების ტურნირი, რომლებიც იბრძვიან „ა“ კლასში გადასვლის უფლების მოსაპოვებლად. მატჩები დიდ ინტერესს იწვევს ფეხბურთის მოყვარულთა შორის.

მონდომებას მოაქვს გამარჯვება

თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ლვოვის არმიელთა და სევასტოპოლის მეზღვაურთა გუნდები. მატჩის პირველი ნახევარი დაიწყო ლვოველთა ხანგრძლივი შეტევით მათი მოწინააღმდეგე იძულებული იყო დაცვაში 5-6 მოთამაშით ებრძოლა ამ იერიშების მოსაგერიებლად, მაგრამ ლვოვის თავდამსხმელთა ერთ-ერთ შეტევას შეუერთდა ნახევარმცველი შაბაევი და შორი მანძილიდან გაგზავნა ბურთი კარში — 1:0. სევასტოპოლელებს დიდხანს არ დაუყოვნებიათ და სკლიაროვმა გათანაბრა ანგარიში — 1:1. ტაიმის დასასრულს წინ კვლავ ლვოველები გავიდნენ — 2:1 (ბურთი ოსტატური დარტყმით გაიტანა მოროზოვმა).

შესვენების შემდეგ სურათი მთლიანად შეიცვალა. სევასტოპოლელებმა პირველივე წუთებიდან ხელთ აიღეს ინიციატივა და თითქმის მთელი ტაიმის განმავლობაში არ დაუკარგავთ იგი. ანგარიში გათანაბრებულ იქნა სმირნოვის მიერ. მალე ბუცკიმ გაიტანა მესამე გოლი, ხოლო თამაშის ბოლო წუთებზე ივანესოვმა.

მონდომებული, ენერგიული თამაშის შედეგად მატჩი მოიგეს მეზღვაურებმა — 4:2.

პირველი სიურპრიზი

ქ. რუსთავის ფეხბურთის მოყვარულებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს ხაბაროვსკისა და ოდესის არმიელთა გუნდების შეხვედრისადმი.

შეიძლება ითქვას, რომ ოდესელი ფეხბურთელები უფრო ტექნიკურად და გეგმიანად თამაშობენ, მაგრამ შორეული აღმოსავლეთის გუნდმა ძლიერ მოწინააღმდეგეს დაუპირისპირა ენერგია, მონდომება და სწრაფვა გამარჯვებისაკენ და ხაბაროვსკელები ღირსეულად იქნენ დაჯილდოებული თავიანთი თავგანწირული თამაშისათვის. მათ შეძლეს დაემარცხებინათ ტურნირის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი ანგარიშით 2:1.

გავიდნენ ნახევარფინალში

საქართველოს პირველობა

ჩატარდა მორიგი მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში იმ გუნდებს შორის, რომლებიც იბრძვიან I-X ადგილებისათვის.

რესპუბლიკის გასული წლის ჩემპიონი თბილისის ტრამვაიტროლეიბუსის სამმართველოს გუნდი თავის მინდორზე შეხვდა ლანჩხუთის „კოლმეურნეს“ და მოიპოვა დამაჯერებელი გამარჯვება—5:0. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრას უპასუხისმგებლოდ მოეპყრა „კოლმეურნის“ ზოგიერთი მოთამაშე, კერძოდ, ნ. ნარიაშვილი.

ფრედ — 1:1 დამთავრდა მატჩი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდსა და სოხუმის „დინამოს“ შორის. უნდა აღინიშნოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მოთამაშეების ზ. ბზიკაძისა და ო. მიქელაძის ყოვლად დაუშვებელი საქციელი მინდორზე, რის გამოც ორივენი გაძევებულ იქნენ თამაშიდან. ფეხბურთის რესპუბლიკურმა სექციამ იმსჯელა მათ შესახებ და ორივეს დისკვალიფიკაცია მისცა სეზონის დამთავრებამდე. ეს შემთხვევა გაკვეთილად უნდა იქცეს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის მწვრთნელებისა და მოთამაშეთათვის. მათ არ უნდა დაივიწყონ, რომ ინსტიტუტის სტუდენტები მომავალი პედაგოგები არიან და მაგალითს უნდა წარმოადგენდნენ სხვათათვის.

ბათუმის „დინამომ“ საკუთარ მინდორზე მიიღო ქუთაისის თანაკლუბელთა ჯუნდი. ჭასპინძლებმა დიდი მონდომებით ჩაატარეს მატჩი და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1.

რუსთავში თამაშობდნენ ადგილობრივი „მეტალურგი“ და „კოლმეურნე“ (მახარაძე). მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც „მეტალურგის“ მცველმა გაიტანა საკუთარ კარში.

• • •

მოგვყავს მატჩების ანგარიშები XI_XX ადგილებისათვის მებრძოლ გუნდებს შორის: 26 კომ. სახ. რ-ნი (თბილისი)-„კოლმეურნე“ (ქობულეთი) — 7:0, „განთიადი“ (ფოთი)-„ლოკომოტივი“ (სამტრედია) — 1:3, „სპარტაკი“ (სტალინირი)-„განთიადი“ (გორი)— 2:0, „ოდიში“ (ზუგდიდი)-„სხივი“ (რუსთავი) — 0:1.



სურათზე: ქუთაისის და ბათუმის დინამოელთა მატჩი მეორე ბურთი ქუთაისელთა კარში.

ფოტო ვ. გრიშჩენკოსი.

„კოლმეურნის“ ფინალი

დაიწყო სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირველობის ფინალური გათამაშება ფეხბურთში.

მოგვყავს განვლილი მატჩების ტექნიკური ანგარიშები: მახარაძე-ადიგენი — 5:2, წულუკიძე-აფხაზეთი — 3:0, ადიგენი-აჭარა—3:0, წულუკიძე-აჭარა — 1:0. მახარაძე-აფხაზეთი — 5:0, ადიგენი-წულუკიძე — 0:2, აჭარა-ზუგდიდი—3:2.

ტურნირი დაიწყო

ბათუმის საქალაქო კლუბში დაიწყო ბათუმის პირველობა ჭადრაკში. მონაწილეთა შორის არიან აჭარის ჩემპიონი გ. ჭანტურაია, ბ. ტოროტაძე, ა. გაბელაია, ვ. აბაჯიდი, ი. აბრამიძე, გ. იმნაძე და სხვები.

პირველობაში გამარჯვებულნი მონაწილეობას მიიღებენ აჭარის ჩემპიონატში.

ვ. მოსეშვილი

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 6 ნოემბრისათვის

I ჯგუფი

I-X ადგილებისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოლმ“. (მახ.)	8	4	2	2	14:10	10
„მეტ“. (რუსთ.)	8	3	2	3	10:14	8
ტტს-ი (თბ.)	6	3	1	2	15:7	7
„ტორპ“. (ქუთ.)	6	3	1	2	11:8	7
„დინ“. (ქუთ).	5	2	2	1	9:7	6
„დინ“. (სოხ.)	5	2	2	1	10:8	6
ფიზ. ინსტ. (თბ.)	7	1	4	2	13:13	6
„კოლმ“. (ლანჩხ.)	8	2	2	4	11:20	6
„დინ“. (ბათ.)	3	2	0	1	7:5	4
„მალარ“. (ვიათ).	6	0	2	4	8:15	4

• • •

XI-XX ადგილებისათვის

„ლოკ“. (სამტრ.)	6	5	1	0	17:9	11
26 კომ. რ-ნი (თბ.)	6	4	1	1	18:4	9
„სხივი“ (რუსთ.)	6	4	1	1	11:7	9
„განთ“. (ფოთი)	6	3	2	1	10:8	8
„სპარტ“. (სტ.)	6	3	0	3	11:13	6
„დინ“. I (თბ.)	6	2	1	3	10:8	5
„განთ“. (გორი)	6	1	2	3	7:11	4
„ოდიში“ (ზუგ.)	5	0	3	2	4:6	3
„კოლმ“. (ქობ.)	5	1	0	4	6:18	2
„სპარტ“. (თელ.)	6	0	1	5	4:14	1

ტურისტთა გაზა „სინოპში“

მომდინარე წლის ივნისში საქართველოს ტურისტულმა სამმართველომ შავი ზღვის პირას, სოხუმის მახლობლად გახსნა ტურისტული ბაზა „სინოპი“, რომელსაც კარვებისა და საცხოვრებელ ნაგებობათა სახით აქვს 200 ადგილი. „სინოპზე“ გადის მარშრუტი 36-ა. გახსნის დღიდან აქ გაცხოველებული ტურისტული საქმიანობა გაიშალა. ჩამოსულები ეცნობიან სოხუმის ბოტანიკურ ბაღს, რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობას, ახალ ათონს, ვაგრას, პიცუნდას, რიწის ტბას, აუადხარას და სხვა ღირსშესანიშნაობებს.

მომდინარე წელს მაღალმთიანი ბალნეოლოგიური კურორტის აუადხარას რაიონში ორგანიზებული იქნა ტურისტული ბანაკი, საიდანაც ტურისტები გადიან ლაშქრობებს ჩუმკუზბას და ანჩხოს მწვერვალებზე, რომელთა სიმაღლე 2.700 მეტრს აღემატება. მათი დაპყრობის შემდეგ მოლაშქრეები ღებულობენ ნიშანს „სსრკ ტურისტი“.

ამ მთების მწვერვალებზე, სტალაქტიტურ მღვიმეებში და მაღალმთიან ტბებზე ლაშქრობას ხელმძღვანელობდა უფროსი ინსტრუქტორ-მეთოდისტი გ. ჩიმაკაძე.

ამ ზაფხულს „სინოპში“ ბევრი ტურისტი იმყოფებოდა. მარტო უკანასკნელ ლაშქრობაში ანჩხოს მწვერვალზე მონაწილეობა მიიღო 17-მა ტურისტმა, რომლებმაც ჩაბარეს სავალდებულო ნორმატივი და მიიღეს „სსრკ ტურისტის“ ნიშანი.

ვ. სემიონოვი

* * *

სურათზე: ტურისტთა ჯგუფი, რომლის ყველა წევრმა მოიპოვა სსრკ ტურისტის ნიშანი.

ქალაქის პირველობაზე

ჩატარდა „განთიადის“ პირადგუნდური შეჯიბრება ტანვარჯიშში თბილისის პირველობაზე, რომელშიც მონაწილეობდა 44 სპორტსმენი.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ტრამვაი-ტროლეიბუსია სამმართველოს ტანმოვარჯიშეებმა, მომდევნო ადგილებზე არიან 26 კომ. სახ. რაიონისა და მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის გუნდები.

პირად ჩათვლაში ოსტატ ქალთა შორის პირველი იყო ვ. კლიმოვა (26 კომ. სახ. რაიონი) — 73,15 ქულა, ხოლო ვაჟთა შორის — ი. კოვალიოვი (ტტს) — 107,7 ქულა.

პირველთანრიგოსან ვაჟთა შორის გაიმარჯვა ა. სიდამონიძემ (სართავ.-სატრიკოტაჟო კომბინატი), ქალთა შორის უძლიერესი იყო დ. ყორშია (ცენტრალური სექცია)

ი. რუხაძე

შეხვედრა ოსტატთან

ამას წინათ სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა შეხვედრა მოუწყვეს ცნობილ სპორტსმენს თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომაში კ. წაქაძეს, რომელიც რამდენიმე დღეს სტუმრად იმყოფებოდა მათ სოფელში.

შეხვედრაზე სიტყვები წარმოთქვეს სკოლის ფიზიკურზრდის მასწავლებელმა ქ. მახარობლიშვილმა, მოსწავლეებმა გ. ყატაშვილმა, ნ. ჭუჭულაშვილმა და სხვებმა. პიონერებმა სასურველ სტუმარს ცოცხალი ყვავილების თაიგულები მიართვეს.

კ. წაქაძემ მოსწავლეებს მოუთხრო საბჭოთა სპორტის მიღწევებზე, საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადის შესახებ და მის გამოსვლებზე ფინეთში, იტალიაში, დასავლეთ გერმანიასა და სხვა ქვეყნებში. დასასრულ სპორტის ოსტატმა სკოლის ფიზკულტურულ კოლექტივს, კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციას, პედკოლექტივს მადლობა გადაუხადა გულთბილი შეხვედრისათვის.

ა. გოგილაშვილი

მზკიცდება მეგობრული კავშირი

თბილისის 1500 წლისთავისა და კომკავშირის [illegible] სანიშნავად მოეწყო მეგობრული შეხვედრა თბილისის [illegible] „წყალსადენტრესტის“ ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის ფრენბურთში, ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში.

ერევნელებმა გულთბილად მიიღეს სტუმრები. შედგა მიტინგი, რომელზეც სიტყვები წარმოთქვეს ამ კოლექტივების წარმომადგენლებმა ნიკოგოსიანმა და ხელიძემ.

ფრენბურთსა და ჭადრაკში ეამარჯვებულნი გამოვიდნენ თბილისელები, ხოლო მაგიდის ჩოგბურთში — ერევნელები. შეჯიბრებანი ცხოველი ინტერესით ადევნებდა თვალს მრავალრიცხოვანი მაყურებელი.

ერევნის „წყალსადენტრესტის“ ფიზკულტურული კოლექტივი სამაგიერო მეგობრული ვიზიტიც უკვე ეწვია თბილისელ კოლეგებს.

ა. პაფოვოვი

ამხანაგური შეხვედრები

ბათუმში, „სპარტაკის“ სპორტულ მოედნებზე გაიმართა ბათუმის შ. რუსთაველის სახელობისა და გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტების სპორტსმენთა შეჯიბრება ფრენბურთსა და კალათბურთში.

კალათბურთელ ქალთა მატჩი მოიგეს ბათუმელებმა — 43:27, ხოლო ვაჟთა გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვეს გორელებმა — 47:40, ფრენბურთში მასპინძლებმა (ვაჟები) შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად გაიმარჯვეს — 3:2. ქალთა გუნდების შეხვედრა მოიგეს გორელებმა — 3:0.

ჯ. ლომთათიძე

რედაქტორი ი. უგულავა.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტი და გაზეთ „ლელოს“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგეს მ. ზ. ცხვედაძეს მისი მეუღლის

ტაისა ალექსანდრეს ასული ცხვედაძის

გარდაცვალების გამო.

ვ. სმისლოვი, მ. ტალი ან ს. გლიგორიჩი

ამას წინათ თბილისში რამდენიმე დღით იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონის გროსმაისტერ მ. ტალის მწვრთნელი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ოსტატი ა. კობლენცი. ჩვენმა კორესპონდენტმა ა. კობლენცს მიმართა რამდენიმე შეკითხვით პორტოროჟის ტურნირისა და პრეტენდენტთა მომავალი ტურნირის შესახებ. ქვემოთ ვათავსებთ ა. კობლენცის პასუხებს.

შეკითხვა: რა შეგიძლიათ გვითხრათ პორტოროჟსა და საერთოდ იუგოსლავიაში ყოფნის შესახებ?

პასუხი: იუგოსლავიაში ძლიერ უყვართ ჭადრაკი და ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ პორტოროჟის ტურნირისადმი ინტერესი მეტად დიდი იყო. ჯერ კიდევ ბელგრადის აეროდრომზე საბჭოთა მოჭადრაკეებს კორესპონდენტებმა სეტყვასავით დააყარეს შეკითხვები: რომელი თქვენგანი აპირებთ პირველი ადგილის აღებას, რა განწყობაზე ხართ და სხვ. ზოგი შეკითხვა ძალზე უცნაური იყო. მაგალითად, ტალს ჰკითხეს, რის გაკეთებას აპირებთ 20 წლის შემდეგო, რაზეც ჩვენმა ჩემპიონმა მოკლედ მოუჭრა: ამაზე 20 წლის შემდეგ ვილაპარაკოთო. შეკითხვაზე, თუ ვისთან ურჩევნია მას მსოფლიო ჩემპიონის სახელზე მატჩის თამაში—ბოტვინიკთან, სმისლოვთან თუ კერესთან, მან სიცილით უპასუხა: „ყველასთან ერთად, ერთდროულ სეანსში“. სხვათა შორის ეს თავისებური პრეს-კონფერენცია მხიარულ ვითარებაში მიმდინარეობდა. აქ ჩვენც გავიგეთ ახალი ამბები. თურმე იუგოსლავიის სპორტულ გაზეთებს მკითხველთა ანკეტა გაუმართავთ პორტოროჟის ტურნირის გამარჯვებულთა შესახებ. ხმების უმრავლესობა მიუღია ტალს, მეორე იყო გლიგორიჩი. მოყვარულთა ეს პროგნოზი, როგორც ცნობილია, შემდგომში გამართლდა კიდეც.

შეკითხვა: ტურნირის მსვლელობის შესახებ ჩვენმა მკითხველებმა ბევრი იციან, ამიტომ გთხოვთ მოგვიყვეთ სხვა რამ ახალი ამბები?

პასუხი: იმას, რაც თქვენმა მკითხველებმა იციან, მინდა დავუმატო ერთი მნიშვნელოვანი ამბავი. პირველი ადგილის ბედი საერთო აღიარებით გადაწყდა ტალისა და პანოს პარტიაში ამ შეხვედრის მეოხებით ტალმა თითქმის გაინაღდა გამარჯვება ტურნირში. პარტიის მსვლელობამ დიდი მღელვარება გამოიწვია. მას არ ცილდებოდნენ ტურნირის მონაწილეებიც კი, მით უმეტეს მაშინ, როცა პანომ ლაზიერი შეწირა. ტალის პოზიცია თითქმის უიმედო იყო. ამ დროს მე მომიახლოვდა ბრონშტეინი ჩამომართვა ხელი და ჩამჩურჩულა: „ვიზიარებ“. გელერმა, რომელიც პორტოროჟში პეტროსიანის მწვრთნელად იმყოფებოდა, მითხრა: „შევდივარ თქვენს მდგომარეობაში. რა გაეწყობა, სულ პირველი ხომ არ იქნება მიშა“. მაგრამ ორიოდე წუთის შემდეგ ტალმა განახორციელა შეწირვების მთელი სერია და გაიმარჯვა კიდეც. პარტია აღნიშნული იქნა სპეციალური ჯილდოთი, როგორც ულამაზესი.

ტურნირის მონაწილეებს თამაშის კარგი პირობები ჰქონდათ. ხშირად გვქონდა დასვენების დღეები, ზოგჯერ ორიც ზედიზედ. ამის გამო ტალი, რომელიც საერთოდ სწრაფად თამაშობს, ხუმრობდა: მე უფრო დასვენებებმა დამღალა, ვიდრე ტურნირში თამაშმაო. ტურნირის ორგანიზატორები ყველაფერს აკეთებდნენ მოჭადრაკეთა გასართობად. ერთხელ მოეწყო კონკურსი ყველაზე ლამაზ მოჭადრაკეზე, რომლის ჟიურში მოწვეული იყვნენ ტურნირზე დამსწრე ქალები. ვინაიდან საბჭოთა მოჭადრაკეებს არ ჰქონდათ მსგავს შეჯიბრებაში მონაწილეობის გამოცდილება, მათ არ მიიღეს მონაწილეობა კონკურსში. საერთო აღიარებით გამარჯვებულად გამოცხადდა ფილიპინელი ოსტატი კორდოსო. გარდა ამისა, ტურნირის ორგანიზატორებმა გამართეს სახედრების რბოლა, რომელიც ერთობ მხიარულად ჩატარდა. იყო სხვა გასართობებიც, მაგრამ მთავარი „გართობა“ მაინც საჭადრაკო ბრძოლა იყო.

შეკითხვა: რას გვეტყვით ბობ ფიშერის შესახებ?

პასუხი: პირველ ყოვლისა, ფიშერი ჭადრაკის ფანატიკოსია. იგი თავს არიდებდა ყოველგვარ გართობას. მთელი დღე უჯდა ჭადრაკს და არჩევდა პარტიებს. ფიშერი კოლოსალური მეხსიერების პატრონია. მან ზედმიწევნით იცის საბჭოთა მოჭადრაკეთა შემოქმედება, რადგან ისინი თავის ძირითად კონკურენტებად მიაჩნია მსოფლიოს ჩემპიონის სახელისათვის ბრძოლაში. ერთხელ მან ტალს უთხრა: „მე ვიცი თქვენი ყველა ნათამაშევი პარტიაო“. ტალმა გაიკვირვა, არ დაუჯერა და თვითონ „გამოსცადა“ იგი. ყველანი სახტად დავრჩით, როცა ფიშერი ტალის მიერ ორმოცამდე ნაჩვენებ პარტიაზე პასუხობდა თუ სად, როდის და ვისთან იყო იგი ნათამაშევი.

ფიშერი დიდადაა დარწმუნებული თავის ძალაში. ტურნირის წინ იგი ამბობდა, რომ პირველი იქნებოდა. ამას ადვილად მივაღწევ ყაიმებით გროსმაისტერებთან და მოგებებით დანარჩენებთანო. ფიშერს ეს არ გაუმართლდა, თუმცა მან საბჭოთა გროსმაისტერებთან ყველა შეხვედრა ყაიმით დაამთავრა. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ფიშერი ნამდვილად დიდი მომავლის გროსმაისტერია.

შეკითხვა: სად ჩატარდება პრეტენდენტთა ტურნირი და როგორი შანსები აქვს თქვენის აზრით მ. ტალს?

პასუხი: საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის წინასწარი გადაწყვეტილებით პრეტენდენტთა ტურნირის ჩატარება გათვალისწინებულია იუგოსლავიაში, ქ. ბლედში. ტურნირში როგორც ცნობილია, ითამაშებენ ვ. სმისლოვი, პ. კერესი, მ. ტალი, ტ. პეტროსიანი, ს. გლიგორიჩი, რ. ფიშერი, ფ. ოლაფსონი და პ. ბენკო. პრეტენდენტები ერთმანეთს შორის ითამაშებენ 4-4 პარტიას. ჩემის აზრით, პირველი ადგილისათვის ბრძოლა იქნება ვ. სმისლოვს, მ. ტალსა და ს. გლიგორიჩს შორის. უფრო კი ამ ორ უკანასკნელს შორის. ტალმა მიუნჰენიდან დამირეკა, რომ აღტაცებულია გლიგორიჩის თამაშით. სმისლოვი ამ ბოლო დროს ცოტას თამაშობს და შეიძლება მას გაუძნელდეს მეტოქეობა. რა თქმა უნდა, იბრძოლებენ დანარჩენებიც, მაგრამ მათ არა მგონია დასახელებულ სამეულს დიდი კონკურენცია გაუწიონ.

შეკითხვა: ითამაშებს თუ არა ტალი XXVI საკავშირო პირველობაში, რომელიც მომავალი წლის იანვარში ჩატარდება თბილისში?

პასუხი: სარწმუნო წყაროებიდან ვიცი, რომ ბოტვინიკი, სმისლოვი, პეტროსიანი და კერესი არ ითამაშებენ ამ ტურნირში. ტალმა უნდა ითამაშოს, რათა დაიცვას ჩემპიონობა. მაგრამ რაკი პრეტენდენტთა ტურნირი იწყება მარტის პირველ კვირაში, მას დასვენების დრო არა რჩება. ამიტომ, საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია თვით ტალზე.

ჭიანჭველა

სამამულო ფეხბურთის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი გათამაშება, მონაწილეობენ: თბილისის „დინამო“, „ბურევესტნიკი“, სკვო და თბილისის ვეტერანთა გუნდი. ქუთაისის „ლოკომოტივი“, აჭარისა და აფხაზეთის ნაკრები გუნდები და საქართველოს 1958 წლის ჩემპიონი.

გათამაშება დაიწყება 8 ნოემბერს. ამ დღეს ერთმანეთს შეხვდებიან თბილისის „დინამო“ და სკვო. 9 ნოემბერს ითამაშებენ ქუთაისის „ლოკომოტივი“ და თბილისის „ბურევესტნიკი“

შეჯიბრების დასაწყისი 13 ს.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“.

ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34.

3 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 07213